ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4076778

ნომერი: AR1615701

თარიღი : 12.07.2018

გაცემის თარიღი : 18.07.2018

გაცნობის თარიღი : 19.07.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლესელიძე , N 33;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ხატია მაღლაფერიძე პ/ნ 01019032380
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 14 ბ. 28ა

ორგანიზაცია:
- შპს ქართული კალათა კოდი: 404489022

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა

დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილ თქვენს 12/07/2018 წლის AR1615701 განაცხადთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ.თბილისში, ლესელიძის ქ. N33–ში არსებულ შენობა-ნაგებობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები განეკუთვნება სარეაბილიტაციო სამუშოებს (ფასადის სამღებრო სამუშაოები; აბრებისა და შუქფრების განთავსება; საინჟინრო კომუნიკაციების შეკეთება, გამოცვლა, დამონტაჟება მზიდი კონსტრუქციული ნაწილების ცვლილების გარეშე; ცალკეული არქიტექტურული დეტალების, მათ შორის, ღიობების, კიბეების, აივნების, დეკორატიული ელემენტების სახეცვლილება, ინტერიერში ჩასატარებელი სარესტავრაციო, სამღებრო ან სარემონტო, ასევე ძეგლის გაწმენდის სამუშაოები).

აქედან გამომდინარე, განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ნომენკლატურაში: ელექტრონული განაცხადები>მშენებლობის ნებართვა>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი>მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნომენკლატურით სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას. საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის შემდგომ სამსახურს მიეცემა თქვენს მოთხოვნაზე მსჯელობის შესაძლებლობა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.